ვებ-პორტალის მოხმარების წესები

ტერმინთა განმარტება:

"ვებ-პორტალი"- http://www.dizaini.ge რეკომენდირებულია Google Chrome-ის ინტერნეტ ბრაუზერის გამოყენება.
"ვებ-პორტალის ადმინისტრაცია"- ვებ-პორტალი http://www.dizaini.ge-ს ადმინისტრაცია.
"მომსახურების მომწოდებელი"- ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს ვებ-პორტალის მომსახურებით, ანთავსებს განცხადებას/ებს.
„მომხმარებელი"-ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს ვებ-პორტალის მომსახურებით, ეძებს დიზაინერულ, არქიტექტურულ ან მსგავსი ტიპის გადაწყვეტილებებს.
„მომხმარებლის ანგარიში"- მომხმარებლის სამუშაო სივრცე ვებ-პორტალზე, საიდანაც შესაძლებელია პირადი მონაცემების და განცხადებების მართვა.
"განცხადება"- არის მაქსიმუმ 10 სურათისგან შემდგარი დიზაინერული, არქიტექტურული, მომსახურების სფეროს ან ცალკეული პროდუქტის რეკლამირების საშუალება განთავსებული ვებ-პორტალზე.
განცხადება შედგება :
1.განცხადების სახელი (აუცილებლად შესავსები ველი);
2.განცხადების აღწერა (აუცილებლად შესავსები ველი);
3.განცხადებაში ატვირთული მთლიანი პროექტის ან ცალკეული პროდუქტის ფასი (მისი არსებობის შემთხვევაში);
4. განცხადებაში შესაძლებელია აიტვირთოს 1-10 სურათი, სადაც თითოეულ სურათს აქვს თავისი შესავსები ველები:
4.1. <u>თითოეულ სურათს აუცილებლად უნდა მიენიჭოს კატეგორია</u>(წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადების მოძიება არ იქნება შესაძლებელი ვებ-პორტალის საძიებო სისტემის საშუალებით);
4.2.სურათზე ნაჩვენები ცალკეული პროდუქტის ან პროექტის შემადგენელი ნაწილის აღწერა (არააუცილებელი ველი);
4.3.სურათზე ნაჩვენები ცალკეული პროდუქტის ან პროექტის შემადგენელი ნაწილის ფასი (არააუცილებელი ველი).

1. შეთანხმების ძირითადი პირობები:

1.1. ვებ-პორტალი არ არის არცერთი გარიგების ორგანიზატორი, თანამონაწილე, გამყიდველი ან მყიდველი. ვებ-პორტალი არის შუამავალი, რომელიც ეხმარება მომხმარებელს და მომსახურების მომწოდებელს დაუკავშირდნენ ერთმანეთს.
1.2. ვებ-პორტალი უზრუნველყოფს განცხადებების განთავსებას ზუსტად შესაბამის კატეგორიაში, რაც მომხმარებელს ეხმარება მომსახურების ან/და პროდუქტის ადვილად მოძიებაში.
1.3. ვებ-პორტალს არ ეკუთვნის ვებ-პორტალზე განთავსებული არცერთი პროდუქტი და არ ფლობს არანაირ დამატებით ინფორმაციას მათი რეალური მდგომარეობის შესახებ. ასევე არ არის არცერთი მომსახურების მომწოდებელი და არ იღებს პასუხისმგებლობას მომსახურების მოწოდების ხარისხზე/კორექტულობაზე/ შესაბამისობაზე.
1.4. განცხადებაში მითითებული მომსახურება, პროდუქტის ხარისხი, უსაფრთხოება, კანონიერება და აღწერასთან შესაბამისობა არ კონტროლდება ვებ-პორტალის ადმინისტრაციის მიერ.
1.5. ვებ-პორტალზე განთასებული ინფორმაცია ემსახურება მომსახურების მომწოდებლის საქმიანობის რეკლამას და კონტაქტის დამყარებას მომხმარებელთან.
1.6. ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი ვებ-პორტალზე პირად ინფორმაციას ანთავსებს თავისი სურვილით, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.
1.7. ვებ-პორტალზე ინფორმაციის განთავსებისას ავტორი ეთანხმება, რომ ინფორმაცია იქნება ღია და ნებისმიერ მომხმარებელს შეეძლება მისი ნახვა.
1.8. გამომდინარე 1.7 პუნქტიდან მომსახურების მომწოდებელი თავის თავზე იღებს ყველა რისკს დაკავშირებულს ამ ინფორმაციის გავრცელებასთან.
1.9. ვებ-პორტალიზე განთავსებულ ინფორმაციას არ აქვს იურიდიული ძალა, მომხმარებელი ვალდებულია ნებისმიერი ფინანსური გარიგების წინ გადაამოწმოს ინფორმაციის სისწორე.

2.მომხმარებლის ანგარიშის რეგისტრაციის წესები:

2.1. ვებ-პორტალზე რეგისტრაციის უფლება აქვს ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს, გარდა 18 წლამდე ფიზიკური პირებისა.
2.2. აუცილებელია რეგისტრაციის გავლის დროს მონაცემები ჩაიწეროს ქართულ ენაზე. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უცხოენოვანი სიმბოლოების გამოყენება გარდაუვალია მაგ: (მომხმარებლის მეილი, კომპანიის სახელი...).
2.3. აუცილებელია რეგისტრაციის გვერდზე არსებული ყველა აუცილებლად შესავსები ველი იყოს შევსებული შესაბამისი მონაცემებით (რომელსაც მიგითითებთ რეგისტრაციის ფორმა).
2.4. მომხმარებელი ვალდებულია მიუთითოს რეალური მონაცემები, საკონტაქტო ნომერი, ელექტონული ფოსტა, მისამართი.
2.5. რეგისტრაციის დროს აკრძალულია სხვა პიროვნების მონაცემების მითითება.
2.6. მომხმარებლის მეილი აუცილებლად უნდა იყოს მის მფლობელობაში არსებული აქტიური ელ. ფოსტის მისამართი. მომხმარებლის პაროლი შეიძლება შეიცავდეს ლათინურ სიმბოლოებს (A-Z), ციფრებს (0-9) და სიმბოლოებს.
2.7. აკრძალულია მომხმარებლის სახელში ნებისმიერი სახის შეურაცხმყოფელი ფრაზის მითითება.
2.8. აკრძალულია ფიზიკური/იურიდიული პირის სურათზე/ლოგოზე შეუსაბამო, პორნოგრაფიული ხასიათის ან შეურაცხმყოფელი სურათების გამოყენება.
2.9. აკრძალულია ერთი მეილით ორი მომხმარებლის დარეგისტრირება.

2.10. განცხადების ვებ-პორტალზე განთავსებისთვის აუცილებელია გაიაროთ რეგისტრაცია და დაეთანხმოთ dizaini.ge-ს წესებს. რეგისტრაციის დადასტურება ხდება ვებ-პორტალის ადმინისტრატორის მიერ მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

3. განცხადების განთავსება:

3.1. მომხმარებელს არ აქვს უფლება საიტზე განათავსოს განცხადება, რომლის შინაარსიც ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
3.2. განცხადების ვებ-პორტალზე განთავსებისთვის აუცილებელია გქონდეთ გავლილი რეგისტრაცია.
3.3. მიუთითოთ განცხადების სახელი მოკლე აღწერა და ფასი (მისი არსებობის შემთხვევაში).
3.4.განცხადებაში შესაძლებელია ატვირთოთ 1-დან 10-მდე სურათი შესაბამისი პარამეტრებით (რომელიც მითითებული იქნება ყოველი სურათის ასატვირთ ველში).
3.5. აუცილებელია განცხადებაში ატვირთულ ყოველ სურათს მიანიჭოთ შესაბამისი კატეგორია ჩამოსაშლელი ველის საშუალებით (წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი განცხადება დარჩება კატეგორიის გარეშე და მისი მოძიება ვერ მოხდება ვებ-პორტალის საძიებო სისტემის საშუალებით).
3.6. ყოველ სურათზე გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ მოკლე აღწერა (ქართულ ენაზე) და ფასი (მისი არსებობის შემთხვევაში).
3.7. აკრძალულია განცხადების სურათებში ატვირთული იქნას პორნოგრაფიული ხასიათის, შეურაცხმყოფელი ან შეუსაბამო სურათები. (მსგავსი ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში განცხადება წაიშლება, ხოლო განმეორებით ჩადენილი მსგავსი ქმედება გამოიწვევს მომხმარებლის ანგარიშის წაშლას ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე).
3.8. აკრძალულია სხვა მომხმარებლის ფოტო მასალის გამოყენება ან მიკერძოება (მსგავსი ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში განცხადება წაიშლება, ხოლო განმეორებით ჩადენილი მსგავსი ქმედება გამოიწვევს მომხმარებლის ანგარიშის წაშლას ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე).
3.9. ვებ-პორტალზე განცხადების დამატების უფლება აქვს ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს, გარდა 18 წლამდე ფიზიკური პირებისა.
3.10. მომხმარებელი ვალდებულია ვებ-პორტალის ინსტრუქციების მიხედვით განათავსოს სრული ინფორმაცია მისი მომსახურების თუ პროდუქციის შესახებ ქართულ ენაზე (გარადა გამონაკლისი შემთხვევებისა).
3.11. განცხადების განთავსებით მომხმარებელი ადასტურებს, რომ მას აქვს განცხადებაში მითითებული პროდუქციის რეალიზაციის ან მომსახურების მიწოდების უფლება.
3.12. ვებ-პორტალზე მომხმარებელს შეუძლია განათავსოს 1 უფასო განცხადება, ხოლო ყოველი შემდეგი განცხადების განთავსების ღირებულება შეადგენს 5 ლარს 1 თვის განმავლობაში.
<u>შენიშვნა: ვებ-პორტალი გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობს უფასო საცდელ რეჟიმში.</u>
3.12.1. ყოველი განცხადება, რომლის შეფასება იქნება 4-5 ვარსკვლავი განთავსდება რეიტინგული განცხადებების სლაიდერში.
3.12.2. ყოველი ბრენდი ან ფიზიკური პირი რომელსაც ექნება 12 და მეტი რეიტინგული განცხადება მოთავსდება Top სლაიდერში სადაც გამოჩნდება კომპანიის ლოგო ან ფიზიკური პირის სურათი.
3.12.3. ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლიათ თავიანთი განცხადება გადაიყვანონ VIP განცხადებების სლაიდერში. ViP განცხადების ღირებულება შეადგენს თვეში 10 ლარს.
<u>შენიშვნა: ვებ-პორტალი გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობს უფასო საცდელ რეჟიმში.</u>

3.13. მომხმარებელს შეუძლია განათავსოს განცხადება დიზაინის შესახებ. მათ შორის: არქიტექტურა, ექსტერიერი, ინტერიერი, ლანდშაფტის დიზაინი, დეკორაციები , მოპირკეთება, ავეჯი , აუზები, ბუხრები, კომერციული ობიექტები, ბილბორდები & ბანერები, ბრენდინგი, ლოგოტიპი და სხვა კატეგორიებში, რომლებიც ჩამოთვლილია ვებ-პორტალის მენიუში. ასევე მომხმარებელს შეუძლია განათავსოს მისი განცხადება დიზაინერების ან ხელოსნების კატეგორიებში და შესთავაზოს მომხმარებელს მისი მომსახურება.
3.14. განცხადება არ უნდა :
3.14.1. იყოს მცდარი, არაზუსტი და არ უნდა შეჰყავდეს შეცდომაში მომხმარებელი.
3.14.2. ემსახურებოდეს თაღლითობას, ტყუილს ან ნდობით ბოროტად სარგებლობას.
3.14.3. შეიცავდეს ინფორმაციას მოპარული, ან ყალბი პროდუქციის ყიდვა-გაყიდის შესახებ.
3.14.4. ეხებოდეს მესამე პირის მატერიალურ და არამატერიალურ საკუთრებას, არ უნდა არღვევდეს მესამე პირის პირად უფლებებს.
3.14.5. შეიცავდეს ინფორმაციას, რომელიც შელახავს მესამე პირის ღირსებას ან ბიზნეს რეპუტაციას.
3.14.6. შეიცავდეს რელიგიური, ეთნიკური, თუ სხვა სახის უმცირესობათა დისკრიმინაციას.
3.14.7. შეიცავდეს მუქარას ვინმეს მიმართ.
3.14.8. მოუწოდებდეს კრიმინალური ქმედებისაკენ.
3.14.9. უწევდეს მხარდაჭერას ან პროვოცირებდეს ტერორისტულ და ექსტრემისტულ ქმედებებს.
3.14.10. შეიცავდეს პორნოგრაფიულ შინაარსს.
3.14.11. იყოს ვებ-პორტალზე მანამდე განთავსებული განცხადების დუბლიკატი .
3.14.12. არღვევდეს რაიმე სხვა გზით საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
3.15. თუ პროდუქცია იყიდება აუქციონზე, მაშინ აუცილებლად უნდა მიეთითოს აუქციონის ჩატარების თარიღი.
3.16. მომხმარებელს არ შეუძლია გამოიტანოს დასკვნა გარიგების ლეგალურობის შესახებ, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ პროდუქცია განთავსებულია ვებ-პორტალზე.

4. ვებ-პორტალის ადმინისტრაციის უფლებები და მოვალეობები:

4.1. ვებ-პორტალის ადმინისტრაცია არ არის არცერთი შეთანხმების თანამონაწილე და არ არის პასუხისმგებელი არცერთი მომხმარებლის ქმედებაზე. ყველა მოლაპარაკება დგება უშუალოდ მომხმარებლებს შორის.
4.2. ვებ-პორტალის ადმინისტრაცია არ აგებს პასუხს ვებ-პორტალზე განთავსებული ინფორმაციის სიზუსტეზე.
4.3. ვებ-პორტალის ადმინისტრაცია ვერ იძლევა იმის გარანტიას, რომ განცხადების განმთავსებელი პირის ვებ-პორტალზე მოცემული მონაცემები დაემთხვევა მის რეალურ მონაცემებს.
4.4. ნებისმიერი განცხადება, რომელიც ეწინააღმდეგება ვებ-პორტალის მოხმარების წესებს, წაიშლება ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე. მომხმარებელი, რომლის ანგარიშითაც მოხდა წესების დარღვევით განცხადების განთავსება, დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ასევე წაიშლება წინასწარი გაფრთხილების გარეშე.
4.5. 3.7 და/ან 3.8 პუნქტის ორჯერ, ან მეტჯერ დარღვევის შემთხვევაში საიტის ადმინისტრაციას უფლება აქვს დაბლოკოს მომხმარებლის მეილი და IP მისამართი.
4.6. ვებ-პორტალის ადმინისტრაციას უფლება აქვს გაუწიოს დადებულ განცხადებას, მომხმარებლის მიერ მითითებული სახისგან განსხვავებული რეკლამირება. ასევე უფლება აქვს მოახდინოს ამ განცხადების რეკლამირება როგორც სოციალური ქსელების, ასევე სხვადასხვა მედია საშუალებებით.

4.7. ვებ-პორტალის ადმინისტრაციას უფლება აქვს შეწყვიტოს ნებისმიერი განცხადების გამოქვეყნება ნებისმიერ დროს.
4.8. ვებ-პორტალის ადმინისტრაცია არ აგებს პასუხს ვებ-პორტალზე განთავსებული ინფორმაციის დაკარგვაზე ან დაზიანებაზე.
4.9. ვებ-პორტალის ადმინისტრაცია არ იძლევა გარანტიას ვებ-პორტალის მუდმივ და შეუფერხებელ მუშაობაზე.
4.10. ვებ-პორტალზე დიდი რაოდენობით ერთი და იგივე განცხადებების განთავსების მიზნით, რამდენიმე მომხმარებლის ანგარიშის რეგისტრაციის შემთხვევაში ვებ-პორტალის ადმინისტრაციას უფლება აქვს დაბლოკოს მომხმარებლის IP მისამართი.
4.11. შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში ვებ-პორტალის ადმინისტრაციას უფლება აქვს დაბლოკოს მომხმარებლის IP მისამართი.
4.12. ვებ-პორტალის ადმინისტრაციას შეუძლია შეცვალოს ეს შეთანხმება ყოველგვარი სპეციალური შეტყობინების გარეშე (აღნიშნული ცვლილებები აისახება რეგისტრაციის ფორმაში არსებულ ‘ვებ-პორტალის მოხმარების წესები’-ის განყოფილებაში).

5. მომხმარებლის უფლებები და მოვალეობები:

5.1. მომხმარებელს არ აქვს უფლება გადასცეს თავისი მომხმარებლის სახელი და პაროლი მესამე პირს.
5.2. პირადი მონაცემების გავრცელების შესახებ ნებისმიერი ეჭვის გაჩენის შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია სასწრაფოდ შეცვალოს ისინი.
5.3. მომხმარებელს ეკრძალება ვებ-პორტალზე 3. პუნქტისგან განსხვავებული განცხადების განთავსება.
5.4. მომხმარებელი ვალდებულია იმოქმედოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და ვებ-პორტალის წესების შესაბამისად და აგოს პასუხი ვებ-პორტალზე თავის ქმედებებზე საქართველოს კანონმდებლობით.
5.5. თუ მომხმარებელს უჩნდება რაიმე სახის პრეტენზია ან გაუგებრობა სხვა მომხმარებლის მიმართ, იგი წარადგენს თავის პრეტენზიას უშუალოდ მომხმარებელთან (რომლის მიმართაც აქვს პრეტენზია),
ვებ-პორტალის ადმინისტრაციისგან დამოუკიდებლად. მომხმარებელი ათავისუფლებს ვებ-პორტალის ადმინისტრაციას (ასევე მის ნებისმიერ თანამშრომელს) ყოველგვარი მოთხოვნებისგან. მათ შორის: ზარალის, ხარჯების ანაზღაურებისგან და ნებისმიერი დანახარჯის ანაზღაურებისგან, რომელიც დაკავშირებულია ვებ-პორტალის მეშვეობით შემდგარ შეთანხმებასთან.
5.6. ვებ-პორტალის გამოყენება მომხმარებელს შეუძლია ყოველგვარი გარანტიის გარეშე, და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.7. მომხმარებელი იღებს სრულ პასუხისმგებლობას ვებ-პორტალზე განთავსებული ინფორმაციის შესახებ, ვებ-პორტალი მას აძლევს საშუალებას მიაწოდოს ინფორმაცია სხვა მომხმარებლებს.